



11566/3-53/21 2 22112021

11566/3-53/21  
22-11-2021

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,  
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
სამინისტროს

სსიპ დევნილთა,  
ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს  
უფროსს ბატონ  
ბესარიონ სიმონიშვილს

ბატონო ბესარიონ,

გაცნობებთ, რომ განცხადებით მომმართა მოქალაქე სოფიო მილორაგამ (პ/ნ: 62009003212). მოქალაქე და მისი ოჯახი დევნილის სტატუსის მატარებელია. ჰყავს 3 მცირეწლოვანი შვილი და ცხოვრობს ქ. ზუგდიდში ნგრევად კორპუსში საიდანაც, განმცხადებლის თანახმად, დევნილთა გასახლების პროცესია დაწყებული. მოქალაქე აღნიშნავს, რომ სახლში ვერ დახვდა კომისიას, რომელსაც უნდა აღერიცხა მაცხოვრებელ დევნილთა რაოდენობა და შიშობს, რომ ამ ფაქტის გამო ის ჩაეხსნა საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამას.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს იძულებით გადაადგილებულ პირთა სათანადო საცხოვრებლით. აღნიშნული არ უნდა იყოს დამოკიდებული კომისიის მოსვლის მომენტისთვის პირის ადგილზე ფიზიკურ ყოფნაზე ან მის არ ყოფნაზე; განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დევნილ პირს სახელმწიფო მხოლოდ 45 ლარს უხდის, რაც თავის მხრივ ვერ ფარავს ოჯახის მინიმალურ საჭიროებებს. ამ ვითარებაში კი კომისიის გაუთვალისწინებელი ვიზიტები აიძულებს ოჯახს ფიზიკურად ფაქტობრივ საცხოვრებელ მისამართზე ყოფნას და დასაქმების ან/და ნებისმიერი სხვა სოციალური აქტივობისაგან თავის შეკავებას, რაც თავის მხრივ ორმაგად აზარალებს ისედაც მძიმე სოციალურ გარემოში მყოფ ადამიანებს. აღნიშნული ასევე არღვევს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პრინციპსა და სულისკვეთებას, რომლის თანახმადაც სამინისტრომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა უზრუნველყოს დევნილისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლებების განხორციელება, მიიღოს ზომები მისი უსაფრთხო და ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესაქმნელად.

გასათვალისწინებელია ასევე, ფაქტი, რომ მოქალაქის საცხოვრებელი ფართი მდებარეობს შენობაში, რომელიც ავარიულია, ხოლო განმცხადებელი 3 მცირე წლოვანი შვილის მშობელია. შესაბამისად აუცილებელია სახელმწიფომ იმოქმედოს ასევე ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. კომისიის მოსვლის დროისთვის ოჯახის წევრების ფიზიკურად ადგილზე არ ყოფნის მიზეზით მათი „საცხოვრისით


დასაკმაყოფილებელ პირთა სიიდან“ ამოღების გადაწყვეტილება ვერ იქნება საკმარისი ბავშვთა საუკეთესო ინტერესების უზღუდბელყოფისათვის.

გთხოვთ, ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით იმოქმედოთ თქვენი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში და დაეხმაროთ მოქალაქეს.

გთხოვთ ასევე, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის საფუძველზე მომართოთ ინფორმაცია ჩართულია თუ არა ზემოთ აღნიშნული მოქალაქის ოჯახი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამაში და თუ რა ღონისძიებებია დაგეგმილი მათ მიმართ.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი  
თამარ კორძაია





საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS FROM THE OCCUPIED TERRITORIES, LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

LEPL INTERNALLY DISPLACED PERSONS, ECOMIGRANTS AND LIVELIHOOD AGENCY



KA030656330075621

საქართველო, თბილისი 0186, მ. თამარაშვილის ქ.15 ა; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 1505;  
15a M.Tamarashvili st., 0186, Tbilisi, Georgia; Hot line: (+995 32) 251 00 26; 1505;

№ 03/22207

21 / დეკემბერი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს  
ქალბატონ თამარ კორძაიას

ასლი: მოქალაქე სოფიო მილორაგას  
მის.: ზუგდიდის მუნიციპალიტეტი  
ქ. ზუგდიდი, ი. ვეკუას ქ. №26  
ტელ.: 593 27 26 68

ქალბატონო თამარ,

სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ განიხილა თქვენი 22.11.2021 წლის №11566/3-53/21 წერილი, იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილ სოფიო მილორაგას ოჯახის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე.

გაცნობებთ, რომ დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის N01-30/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად. აღნიშნული სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე განაცხადების მიღებისა და განხილვის წესი, პროცედურა და კრიტერიუმები.

თითოეული დევნილი ოჯახის განაცხადის შეფასება ხორციელდება სააგენტოს მიერ მოკვლეული და დევნილი ოჯახის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით. შეფასების შედეგად, თითოეულ დევნილ ოჯახს ენიჭება შესაბამისი ქულა.


მოცემულ შემთხვევაში, იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილ სოფიო მილორაგას ოჯახს (ორთახიანი ბინის კანდიდატი) საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადი შევსებული აქვს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მდებარე ობიექტზე. დევნილთა გრძელვადიანი განსახლების წესის საფუძველზე და მისი ოჯახის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, წინასწარი შეფასებით, მიენიჭა 2.5 ქულა, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: ცხოვრობს ნათესავთან/ახლობელთან ქირის გარეშე - 1.5 ქულა; 18 წლამდე ასაკის ოჯახის წევრები (ორი წევრი) – 1 ქულა.

დამატებით გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე დევნილთა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ განიხილა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მდებარე ობიექტზე შევსებული მხოლოდ იმ დევნილი ოჯახების განაცხადები (ორთახიანი ბინის კანდიდატები), რომლებსაც წინასწარი შეფასებით მინიჭებული ჰქონდათ 4 ქულა და მეტი. შესაბამისად, არასაკმარისი ქულის გამო, დევნილ სოფიო მილორაგას ოჯახის გრძელვადიანი განსახლების საკითხი კომისიის მიერ არ განხილულა.

იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილ სოფიო მილორაგას ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხი, მინიჭებული ქულების შესაბამისად, განიხილება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებული საცხოვრებელი ფართებისა და ოჯახის სულადობის გათვალისწინებით, იმ ეტაპზე, რომელზეც საკმარისი იქნება მისი ოჯახისათვის მინიჭებული ქულა.

პატივისცემით,

დირექტორი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელემენტრონულად 

ბესარიონ სიმონიშვილი